ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი:	გოჩა ჯანგიძე
საანგარიშო პერიოდი:	01.11.2020 – 01.11.2021
თანამდებობა:	1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრი; 2. ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; 3. ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს წევრი
კომისი(ებ)ის დასახელება:	1. ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია

❖ **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:**

საკრებულოს სხდომის რაოდენობა: - 24 სხდომა

საკრებულოს სხდომაზე დასწრება: - 22 სხდომა

საკრებულოს ბიუროს სხდომის რაოდენობა: - 23 სხდომა

საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დასწრება: - 22 სხდომა

- **საკრებულოს სხდომებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა:**

  დადგენილება - 57;

  განკარგულება - 190.

- **მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა:**

  ა) კომისიები:

  - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია:

    ჩატარდა: - 14 სხდომა; დასწრება: - 14 სხდომა

  ბ) ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“

- **ჩართულობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მომუშავე სამუშაო ჯგუფებში, კომისიებსა და საბჭოებში:**

  1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს წევრი;

  2. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქონების სააუქციონოდ მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრი;

  3. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფის და რეგისტრაციის მიზნით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;

  4. ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე დაურეგისტრირებელი ფართების მოქალაქეებისთვის საკუთრებაში გადაცემის ხელშეწყობის მიზნით აღრიცხვის და არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრი;

❖ **მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:**

ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

ბ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დამტკიცება;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი 2020-2021 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები;

დ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების დამტკიცება;

ე) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მიზნით, მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით, მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის წესების, კერძო სამართლის იურიდიული პირების შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის წესების, ასევე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ნუსხის/გეგმის დამტკიცება და მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

❖ **საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:**

საკრებულოს წევრის საქმიანობა წარიმართება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით.

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს. მისი სამოქმედო გეგმა განსაზღვრულია კომისიის დებულებით და განიხილავს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიიდან ინიცირებულ საკითხებს.

კომისია აქტიურადაა ჩართული კომისიის გამგებლობას მიკუთვნებულ სფეროში არსებული პრობლემატიკის განხილვაში და მათი ეფექტურად გადაჭრა, მის პრიორიტეტს წარმოადგენს.

კომისიის მიერ მუშა პროცესში აქტიური ჩართულობით, მხარდაჭერილი იქნა ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი 2020 – 2021 წწ. ინფრასტუქტურული პროექტები.

საანგარიშო პერიოდში, სისტემატიურად ვმართავდი შეხვედრებს ამომრჩევლებთან. ამომრჩევლები პრობლემების გადასაჭრელად მომმართავდნენ კითხვებით და ღებულობდნენ რეკომენდაციებს.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიამ 2020 წლის 01 ნომებრიდან 2021 წლის 01 ნოემბრამდე პერიოდი წარმატებით დაასრულა და უფლებამოსილების ვადაში კვლავ გააგრძელებს აქტიურ მუშაობას.

თარიღი: 29.10.2021

ხელმოწერა: გოჩა ჯანგიძე